11/08/2025

MES 8 25 0000967932

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 29 ივლისს 12:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა
Time: July. 29, 2025 12:00 PM Tbilisi
https://us02web.zoom.us/j/84761553550?pwd=4feUUSBuw9YLLoC2Zw4xREkdVlMRtL.1
Meeting ID: 847 6155 3550
Passcode: 170460

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომა დგენლები:
ნანიდალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულებისწარმომადგენლები

ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“
თამარ ზაქარაშვილი - დირექტორი
თამთა კვინიკაძე - დირექტორის მოადგილე
ელისო ჯიქიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს თაქთაქა
მაია თაქთაქიშვილი - დირექტორი
ნინო ბოკუჩავა - პროფესიული მომზადების პროგრამის თმის ვარცხნილობის, შეჭრის და ღებვის ხელოვნება“ განმახორციელებელი პირი

შპს ბრაით ლაინი
გულიკო ქათამაძე - დირექტორი
მზია ბაკურიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:
ირმა ღარიბაშვილი
მაგული მებონია
ნატალია კუჭუხიძე
მანანა კობალაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს,

რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი სალომე სანაია არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ მარიამ ნოზაძეს, რაზეც მარიამ ნოზაძემ თანხმობა განაცხადა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „ელექტრორკალური შედუღება“ /02316/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „მონოლითური სამუშაოების შესრულება“ /02318/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება“ /02319/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება“ /02320/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი“ /02321/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ /02317/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს თაქთაქას მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს ბრაით ლაინის „ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ /02314/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „ელექტრორკალური შედუღება“ /02316/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „მონოლითური სამუშაოების შესრულება“ /02318/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება“ /02319/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება“ /02320/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი“ /02321/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
საკითხები ერთიანი პრეზენტაციის სახით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 27ივნისის №771375, №771251, №771571, №771287 და №771803 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის მიერ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2025 წლის 14, 15 და 16 ივლისს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ში, მისამართზე ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №31.

დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა 5 პროფესიული მომზადების პროგრამა „ელექტრორკალური შედუღება“, „მონოლითური სამუშაოების შესრულება“, „საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება“, „სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება“ და „შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი“.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია ხუთივე პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი.

პროფესიული მომზადების პროგრამა „ელექტრორკალური შედუღება“
ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
რეკომენდებულია პირველი სწავლის შედეგი „ელექტრორკალური შედუღების ტექნოლოგიების ცოდნა“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ელექტრორკალური შედუღების ტექნოლოგიების აღწერა“.

პროფესიული მომზადების პროგრამა „მონოლითური სამუშაოების შესრულება“
ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
პირველი სწავლის შედეგი „მარტივი არითმეტიკული გამოთვლების ცოდნა და მარტივი სამშენებლო ნახაზების კითხვა“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „მარტივი არითმეტიკული გამოთვლების ცოდნა და მარტივი სამშენებლო ნახაზების წაკითხვა“.

პროფესიული მომზადების პროგრამა „საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება“
ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
პირველი სწავლის შედეგი „მარტივი არითმეტიკული გამოთვლების ცოდნა და მარტივი სამშენებლო ნახაზების კითხვა“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „მარტივი არითმეტიკული გამოთვლების ცოდნა და მარტივი სამშენებლო ნახაზების წაკითხვა“.

პროფესიული მომზადების პროგრამა „სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკთება“
ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
პირველი სწავლის შედეგი „მარტივი არითმეტიკული გამოთვლების ცოდნა და მარტივი სამშენებლო ნახაზების კითხვა“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „მარტივი არითმეტიკული გამოთვლების ცოდნა და მარტივი სამშენებლო ნახაზების წაკითხვა“, მეორე სწავლის შედეგი „ფილის დამუშავების კეთება“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ფილის დამუშავება“.

პროფესიული მომზადების პროგრამა „შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი“
ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პირველი სწავლის შედეგი „მარტივი არითმეტიკული გამოთვლების ცოდნა და მარტივი სამშენებლო ნახაზების კითხვა“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „მარტივი არითმეტიკული გამოთვლების ცოდნა და მარტივი სამშენებლო ნახაზების წაკითხვა“; მეორე სწავლის შედეგი „შიგა წყალსადენი სიტემების მონტაჟიი შესრულება“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „შიგა წყალსადენი სიტემების მონტაჟი“, მესამე სწავლის შედეგი „შიგა წყალარინების სისტემის მონტაჟის შესრულება“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „შიგა წყალარინების სისტემის მონტაჟი“ ხოლო მეოთხე სწავლის შედეგი „სანიტარული დანადგარებისა და ტექნიკის მონტაჟის შესრულება“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „სანიტარული დანადგარებისა და ტექნიკის მონტაჟი“.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამები არის მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეორე, სწავლების ენა - ქართული, პროგრამების ხანგრძლივობა - 18 კვირა, პროგრამების განხორციელების ადგილი - ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №31. წარმოდგენილ პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა ასაკი - 18 წელი, ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება.
პროფესიული მომზადების პროგრამებზე „ელექტრორკალური შედუღება“, „სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება“ და „შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი“ მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა - 30 მსმენელი, ხოლო „მონოლითური სამუშაოების შესრულება“, „საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება“ – 60 მსმენელი.
პროგრამების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ 2017 წლიდან თანამშრომლობს თანადამფუძნებელ კომპანია „ბიქეი ქონსთრაქშენთან“. ბიზნესთან მჭიდრო კომუნიკაცია საშუალებას აძლევს კოლეჯს სწორად დაინახოს შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევები, მოთხოვნადი პროფესიები. კომპანია მისი შესრულებული, მიმდინარე და სამომავლო პროექტების მასშტაბურობიდან გამომდინარე, საჭიროებს აღნიშნულ პროფესიაში მაღალკვალიფიციური კადრების არსებობას და მათ დასაქმებას სამშენებლო ობიექტებზე. სამშენებლო კომპანია „ბიქეი კონსთრაქშენი“ არის სტრატეგიული და სანდო პარტნიორი პროფესიული კოლეჯისთვის. კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილი სამშენებლო პროექტების მასშტაბურობა საჭიროებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მუდმივ მიწოდებას, რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების სისტემისა და შრომის ბაზარს შორის მჭიდრო კავშირს.
კოლეჯი ითამაშებს მნიშვნელოვან როლს კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებასა და დასაქმებაში. კვლევამ დაადასტურა, რომ დეველოპერულ კომპანიას რეალური საჭიროება აქვს სამშენებლო მიმართულებით მომზადებული კადრების მიმართ. საჭიროება კი გამოიხატება, როგორც მოკლევადიან პერსპექტივაში (300-400 პროფესიონალი 2025 წლისთვის), ისე გრძელვადიან პერიოდში (დაახლოებით 3000 კვალიფიციური ოსტატი მომდევნო 6 წლის განმავლობაში).
გარდა ამისა, კოლეჯის პრაქტიკული სწავლების მოდელი და პარტნიორ კომპანიასთან მჭიდრო თანამშრომლობა ქმნის ხელსაყრელ პირობებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის, რაც ზრდის კოლეჯის პროგრამების პრაქტიკულობასა და ეფექტიანობას. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ „კონსტრუქტ2ისა'' და „ბიქეი ქონსთრაქშენის“ თანამშრომლობა ეფექტიანად პასუხობს საქართველოს მშენებლობის სექტორში კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტს და წარმოადგენს საჯარო-კერძო პარტნიორობის წარმატებულ მაგალითს.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამების შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა -გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.
პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, ხუთივე პროგრამაზე დაწესებულებას განაცხადის მიხედვით წარმოდგენილი ჰქონდა განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე განხორციელდა გასაუბრება აღნიშნულ პირებთან. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ასევე, პარტნიორი კომპანიის ინფრასტრუქტურით.
სასწავ-ლო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კოლეჯი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, შესაბამისად დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურების შესახებ, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით. კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, ვიზიტის დროს გადამოწმდა https://e-vet.emis.ge/ ელ. სისტემა. აღნიშნული ელ. სისტემის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ყველა აუცილებელი ინფორმაცია დაწესებულებას ასახული აქვს სისტემაში. სერტიფიკატების გაცემა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმის შესაბამისად. კოლეჯს დღემდე გაცემული აქვს 386 სერტიფიკატი დანართთან ერთად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „ელექტრორკალური შედუღება“ /02316/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ელექტრორკალური შედუღება /02316/ **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „მონოლითური სამუშაოების შესრულება“ /02318/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მონოლითური სამუშაოების შესრულება /02318/ **(დანარ თი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება“ /02319/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ

სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საკალატოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება /02319/ **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება“ /02320/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება /02320/ **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი“ /02321/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი /02321/ **(დან ართი 5).**

6. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ /02317/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მაგული მებონიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 27ივნისის №771308 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მაგული მებონიამ შეისწავლეს ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის პროფესიული მომზადების პროგრამის „ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ (ID 02317) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 15 ივლისს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ში, მისამართზე ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №31.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ერთი რეკომენდაცია.

ქვესტანდარტი 1.6 – სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

მიზანშეწონილია პირველი სწავლის შედეგი „გამოსაყენებელი მასალების და უსაფრთხოების წესების ცოდნა“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „გამოსაყენებელი მასალების და უსაფრთხოების წესების აღწერა“; მეორე სწავლის შედეგი „ელექტრული სქემებისა და სამშენებლო ნახაზების კითხვა“ დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ელექტრული სქემებისა და სამშენებლო ნახაზების წაკითხვა“.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეორე, პროგრამის ხანგრძლივობა - 18 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი - ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №31.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამაც ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის მიერაა წარმოდგენილი, შესაბამისად ამ პროგრამასთან დაკავშირებითაც ანალოგიური მოთხოვნაა თანადამფუძნებლის მხრიდან.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სტანდარტები. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ასაკი - 18 წელი, ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ელ. სისტემაში წარმოდგენილი ჰქონდა განმახორციელებელი პირების დოკუმენტაცია, დოკუმენტაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მე-2 სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მე-3 სტანდარტის ქვესტანდარტებს, შეფასდა ანალოგიურად, ვინაიდან აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილია ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის მიერ.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის „ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება“ /02317/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ

სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება /02317/ **(დანართი 6).**

კოლეჯის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, ასევე ცენტრს და საბჭოსწევრებს, დასძინა, რომ „ბიქეი ქონსტრაქშენთან“ თანამშრომლობით ეფექტურად და ხარისხიანად განახორციელებდა წარმოდგენილ პროგრამებს.

7. შპს თაქთაქას მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილს თანდართული დოკუმენტაციით მისამართის ცვლილებასთან დაკავშირებით, საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 24 ივნისის №738853 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ნატალია კუჭუხიძემ, შპს თაქთაქას 2025 წლის 21 მაისის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრირებული №555934 წერილის, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 17 ივნისის №678210 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე 2025 წლის 11 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს თაქთაქაში, მისამართზე ქ. თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №39.
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა შპს თაქთაქას მთავრობის №131 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტთან (პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები) შესაბამისობის დადგენა. ვიზიტის დროს გადამოწმდა მეორე სტანდარტი, კერძოდ პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. განხორციელდა გასაუბრება ორგანიზაციის წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირთან.

შპს "თაქთაქამ" (ს/კ 405607357), რომელსაც პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №1182060 გადაწყვეტილებით მიენიჭა უფლება განეხორციელებინა პროფესიული მომზადების პროგრამა "თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება" მისამართზე - ქ. თბილისი, ო. თაქთაქიშვილის ქ. №11, ცენტრში რეგისტრირებული №555934, 21.05.25 და №643972, 10.06.25 წერილებით ცენტრს აცნობა პროგრამის განხორცელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ.
რამდენადაც, ორგანიზაციამ შეიცვალა საქმიანობის განხორციელების ადგილი, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის საფუძველზე, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის №1182060 გადაწყვეტილებაში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ო. თაქთაქიშვილის ქ. №11, შეიცვალოს და გადაწყვეტილების დანართში აისახოს მისამართი - ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №39.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ერთი რეკომენდაცია
ქვესტანდარტი 2.1 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით
პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსისა (განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თანამშრომლობასთან დაკავშირებით არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით გაფორმებული ხელშეკრულებას/შეთანხმებას), რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები გაფორმებული იყოს პროგრამის განხორციელების ვადით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რაც შეეხება 2.2 ქვესტანდარტს პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
აღნიშნულ მისამართზე, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №39, სასწავლო სახელოსნოში განთავსებულია 5 სამუშაო ადგილი. შესაბამისად ერთ სამუშაო ადგილზე დაშვებულია 2 მსმენელის მოთავსება, თუმცა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების პროცესში იურიდიულ პირს დაგეგმილი აქვს 2 ცვლაში განახორციელოს სწავლება, სულ 10 მსმენელი, ჯგუფში 5-5 მსმენელი, რაც საშუალებას მისცემს ხარისხიანად განხორციელდეს პროგრამა. ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემო. ორგანიზაციის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სწავლება განხორციელდება AC გარემოში ინტერაქციულად.
სასწავლო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონული სახით. პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო და ჰენდაუთები, რომელიც ფარავს ყველა სწავლის შედეგს.
ვიზიტის დროს გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის ელექტრონულად, სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

2.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ მიმდინარეობის მიზნით შპს თაქთაქას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც დროულად გამოავლენს ყველა საფრთხეს, შეაფასებს რისკს და დანერგავს რისკის კონტროლის მექანიზმებს.
პროგრამის ხელმძღვანელისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ შემუშავებულია პროგრამული უსაფრთხოების წესები და შრომის უსაფრთხოების გეგმა, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებს იურიდიული პირი. უსაფრთხოების სისტემაში ჩაერთვება თითოეული თანამშრომელი და მსმენელი. ასევე გამოვლენილი რისკების საფუძველზე დაიგეგმება შესაბამისი ინსტრუქტაჟები და სწავლება, რომელთა მიხედვითაც გაიზრდება პერსონალისა და მსმენელის ცნობიერება, რაც მათ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოდ მუშაობას უზრუნველყოფს.
ორგანიზაციამ ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტი - 2024 წლის 19 სექტემბერს სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული ანგარიში №BI-155, რომლის თანახმად, ინსპექტირება-შეფასებიდან გამომდინარე, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №39-ში განთავსებული ორგანიზაციის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი „სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების მოთხოვნებს.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა პროგრამის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია და დასძინა, რომ პროგრამის პარამეტრებში მხოლოდ განხორციელების ადგილი შეიცვალა, კერძოდ პროგრამა განხორციელდება მისამართზე - ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №39.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თაქთაქაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ და „შპს თაქთაქასთვის „თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის №1182060 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ვინაიდან მონიტორინგის საკითხის კენჭისყრა ვერ მოხერხდებოდა ელექტრონულად, ყველა საბჭოს წევრს დაეფიქსირებინა პოზიცია.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თაქთაქაში (ს/კ: 405607357) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს თაქთაქას „თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ პროფესიული მომზადების პროგრამის უფლების მოპოვების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის №1182060 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 7).**

8. შპს ბრაით ლაინის „ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ /02314/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მანანა კობალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მაისის №554758 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მანანა კობალაძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ (ID 02314) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 13 ივნისს განახორციელეს ვიზიტი შპს ბრაით ლაინში, მისამართზე ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. 52.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 1.1 და 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია.

გამოვლენილი ხარვეზები

ქვესტანდარტი 1.1 - პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს

პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ მიზანშეწონილობის დასაბუთებაში მოცემული კვლევები, ანალიზი და დაწესებულების წარმომადგენლების ზეპირსიტყვიერი განმარტებები სათანადოდ ვერ ასაბუთებს, რომ პროგრამა ,,ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა „უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე დაწესებულება, ვერ უზრუნველყოფს მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვის სწავლებას. რადგან არ გააჩნია სწავლებისათვის საჭირო რესურსი - მამაკაცის სამკერვალო მანეკენი, რომელზეც მოხდებოდა ზომების აღება და თარგის და პირველადი მოდელის მოზომება და დასრულებული ნაწარმის მორგება.

გაცემული რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

წარმოდგენილი პროგრამის თემატიკაში არ არის ასახული ისეთი საბაზისო საკითხები, როგორიცაა ტანსაცმლის დასამზადებლად გამოყენებული მასალების ასორტიმენტი, ფურნიტურის სახეები, თანამედროვე ტანსაცმელი და მასზე წაყენებული მოთხოვნები. საერთო ცნობები ქალის კაბის კონსტრუქციაზე, ტანსაცმლის კლასიფიკაცია, სამოსი დანიშნულების მიხედვით, ტანსაცმლის სილუეტი და მისი ფორმები, ტანსაცმლის დახასიათება სტილის მიხედვით ტანსაცმლის ტექნიკური ნახატის შექმნის მეთოდი, ქსოვილზე თარგის დაფენასთან და გამოჭრასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ. შესაბამისად პროგრამის სახელწოდება სრულად არ პასუხობს პროგრამის შინაარს.

ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან

პროგრამის სწავლის შედეგებში არ არის გათვალისწინებული ისეთი საბაზისო სწავლის შედეგები, როგორიცაა სატანსაცმლე მასალების ასორტიმენტისა და ფურნიტურის სახეების გაცნობა, ტანსაცმლის სილუეტის, ფორმის სტილი დახასიათება და ტექნიკური ნახაზის შესრულება, რის საფუძველზეც ხდება შემდგომში სხვადასხვა ნაწარმის კონსტრუქციული ნახაზის აგება, ტექნიკური მოდელირება და თარგის მიღება. შესაბამისად აღნიშნული სწავლის შედეგების ან თემატიკის გარეშე მიზანი ვერ იქნება სრულად მიღწეული.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

ვინაიდან პროგრამა ქალის და მამაკაცის ტანსაცმლის კერვასთან არის დაკავშირებული, რეკომენდებულია გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა, შესაბამისად, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა.

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

რეკომენდებულია, სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება განხორციელდეს ყოველი სწავლის შედეგის დასრულებისას, ასევე სწავლის შედეგის დასრულებისას მსმენელმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული დავალების პრეზენტაცია, შესაბამისად შეფასების მეთოდს - პრაქტიკული დავალება დაემატოს პრეზენტაცია.

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამა უზრუნველყოფილია მხოლოდ ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება/კერვის შესწავლისათვის, ვინაიდან არ აქვს დაწესებულებას მამაკაცის მანეკენები, რეკომენდებულია წარმოდგენილი მატერიალური რესურსით ჯგუფში მხოლოდ 6 მსმენელის მიღება, შესაბამისად ორ ჯგუფში 12 მსმენელის.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 17 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. № 52.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის. იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით. კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, ვიზიტის დროს გადამოწმდა https://e-vet.emis.ge/ ელ. პორტალი. აღნიშნული ელ. სისტემის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ყველა აუცილებელი ინფორმაცია დაწესებულებას ასახული აქვს სისტემაში. თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ელ. სისტემის დათვალიერებით დადგინდა, რომ სერტიფიკატების გაცემა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
დარგის ექსპერტმა 2.2 ქვესტანდარტში დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იურიდიული პირის მიერ დამატებით წარმოდგენილ იქნა მამაკაცის მანეკენების ფოტო მასალა, შესყიდვის დოკუმენტაცია, შესაბამისად 2.2 ქვესტანდარტის ხარვეზი აღმოფხვრილია.
დარგის ექპერტმა ასევე ისაუბრა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ კიდევ ერთხელ დააფიქსირებდა თავის პოზიციას და დასძინა, რომ მამაკაცის მანეკენები ზურგის მხრიდან არ განსხვავდება ქალის მანეკენისგან, თუმცა მამაკაცების შემთხვევაში მიდგომა სხვანაირი უნდა იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ მამაკაცები განსხვავებული გარეგნობის არიან, მხოლოდ მამაკაცის მანეკენზე დაყრდნობით მკერავი ვერ შეკერავს ისეთ ნაწარმს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეიკეროს. მან დასძინა, რომ მამაკაცის ტანსაცმლის კერვის შემთხვევაში გასათვალისწინებელია მენტალური შეხედულება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, მამაკაცის ტანსაცმელს ინდივიდუალურ წარმოებაში ასრულებს მამაკაცი და არა ქალი, მასობრივ წარმოებაში შესაძლებელია დასაქმებული იყოს ქალები, მაგრამ ესენი არიან მკერავები და ისინი გარკვეულ ოპერაციებს ასრულებენ და თავიდან ბოლომდე ვთქვათ არ აკეთებენ იმ ოპერაციებს, რაც მამაკაცის ტანსაცმლის კერვის შემთხვევაშია, ასეთი შეხედულება გამომდინარეობს გამოცდილებიდან, მან დასძინა, რომ წლებია მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირებას ასწავლის.
საბჭოს თავმჯდომარემ დააფიქსირა თავისი პოზიცია, მან განაცხადა, რომ ძირფესვიანად გაეცნო განაცხადს, წარმოდგენილ პროგრამას და დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ წერილს დოკუმენტაციასთან ერთად. რაც შეეხება ხარვეზებს, 1.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით უშუალოდ ბოლო კვლევა იქნა გადამოწმებული, საინტერესო იყო იმის გარკვევა, როგორი ტენდენცია იკვეთებოდა მკერავებთან დაკავშირებით, შეიძლება

ითქვას რომ ბოლო კვლევებიდან გამომდინარე, არსებული ვაკანსიების მხრივ დაფიქსირდა 413 ვაკანსია, შეუვსებელი ვაკანსიები საკმაოდ დიდი იყო - 133, რაც საერთო ჯამში 32%, შესაბამისად ეს ხარვეზი, რაზეც იყო საუბარი, ამოსაღებია დღის წესრიგიდან, მოთხოვნილი ვაკანსიების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა საბჭოს წევრებთან შეთანხმებით, რის შემდეგაც ერთიანობაში იქნება მიღებული გადაწყვეტილება, როგორი სახით იქნას გატანილი, უფლების მიღებით, თუ დაწესებულებას მიეცეს ხარვეზის გამოსასწორებელი ვადა.
მეორე საკითხი შეეხებოდა მანეკენების არასაკმარის რაოდენობას. ანგარიშფაქტურები, რომელიც წარმოდგენილი იქნა, ასახავდა მანეკენების შეძენის ფაქტს, თუმცა ბათუმში არ იყიდება და ჩამოტანა ხდება თურქეთიდან, ვიზიტის დროს მამაკაცის მანეკენები არ იყო ადგილზე, ვინაიდან დროულად ვერ მოხერხდა საბაჟოზე გადმოტანა.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ანგარიშფაქტურებში არ ეწერა, რომ ეს იყო მამაკაცის მანეკენები, რაზეც აღინიშნა, რომ კონკრეტულად მამაკაცის არის, თუ ქალის არ იწერება დოკუმენტში.
საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა პროგრამის დონესთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე დონის პროგრამა, გამომდინარე იქიდან, რომ საუბარი იყო გაზრდილიყო პროგრამის ხანგრძლივობა, ეს უკვე იმაზე მეტი იქნებოდა, ვიდრე მოკლევადიანი პროგრამა.
მან დასძინა, რომ რეკომენდაციები, რომელიც იყო გაცემული, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანია, რათა თემატიკის ჩაშლით პროგრამა უფრო მეტად გამდიდრდეს და გაძლიერდეს, მან ჩაიკითხა დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაცია და დასძინა, რომ მისი პოზიციაა რომ თემატიკა უნდა ჩაიშალოს, შესაბამისად ორგანიზაციას ექნება საშუალება ერთთვიან ვადაში, პროგრამაში შეიტანოს დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაცია თემატიკასთან დაკავშირებით.
დარგის ექსპერტი შეეხო კონსტრუირების საკითხს, მან განმარტა, რომ კერვა სხვაა, ხოლო კონსტრუირება სხვა, თუ კონსტრუირებას არ ისწავლის მსმენელი და ისე მოხდება მასალაში შესრულება, ასევე საბაზისო საკითხებსაც თუ გავითვალისწინებთ, პროგრამაში უნდა შევიდეს გარკვეული ცვლილებები, მან დასძინა სახელწოდებასთან დაკავშირებით, რომ სახელწოდება იმდენად მოცულობითია, რომ შინაარსობრივად არ შეესაბამება, უფრო მისაღები იქნებოდა, თუ პროგრამის სახელწოდება იქნებოდა - ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი.
ბაზარზე მკერავი გაიგივებულია საკერავი მანქანის ოპერატორთან, რომელმაც არაა სავალდებულო იცოდეს კონსტრუირება, ვინაიდან ყველაფერს გამზადებულს აძლევენ. მკერავი ყველაზე დაბალი რგოლია ამ სფეროში, საკერავი მანქანის ოპერატორს შეუძლია ცალკეული ოპერაციების შესრულება და არა კონსტრუირება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ნანი დალაქიშვილს, რომელსაც რამდენიმე შეკითხვა ჰქონდა დარგის ექსპერტთან. მან განაცხადა, რომ ეს საკითხი განხილული იქნა ცენტრში დასკვნის ატვირთვამდე, მან ყურადღება გაამახვილა დარგის ექსპერტის კვალიფიციურობაზე, და მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, რომ ეს პროგრამა უფრო უნდა იყოს, ასე ვთქვათ, მკერავის პროგრამა და მაშინ კონსტრუიტერების უნარები არ უნდა იყოს ჩადებული პროგრამაში, თუმცა სამკერვალო წარმოების მესამე დონის საკვალიფიკაციო პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა, ისიც მესამე დონის მკერავს ამზადებდა, პროგრამაში შეტანილი იყო როგორც ქალის, ასევე მამაკაცის, ასევე ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუირების დეტალები, ანუ მესამე დონის მკერავს, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი თვითდასაქმებულია, ან უნდა თვითდასაქმება, ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ, მოკლევადიანზეა საუბარი, მას თვითონვე მოუწევს დამზადება, რაღაც დოზით კონსტრუირება იმ მასალისა, რომელიც თვითონ უნდა შეკეროს. აქ არ არის აქცენტი გაკეთებული ოპერატორზე, პროგრამის მიზნიდან არ იკვეთება, რომ ეს არის მხოლოდ ოპერატორი და შეიძლება ფაბრიკაში დასაქმდეს, აქ მიზანი არის თვითდასაქმება, სადაც მას თვითონვე მოუწევს გამოჭრაც და მერე შეკერვაც, ასევე მან გაამახვილა ყურადღება, რომ არ იქნება სწორი საკვალიფიკაციო პროგრამასთან შედარება,

ვინაიდან ეს პროგრამა წარმოდგენილია უფლების მოპოვებით, შესაბამისად მას არანაირი კავშირი წესით არ უნდა ჰქონდეს თავსებადობის თვალსაზრისით, ეს არის ცალკე, დამოუკიდებელი პროგრამა. შესაძლოა დაწესებულებამ ისარგებლა გარკვეულწილად იმ სამკერვალო წარმოების მოდულებით, მაგრამ პროგრამაში არ არის მითითებული, რომ საფუძვლად გამოყენებულია სტანდარტი, თუმცა ბევრი დაწესებულება სტანდარტსაც უთითებს საფუძვლებში, ორგანიზაციამ შექმნა პროგრამა, რომელზედაც არის მოთხოვნა. რაც შეეხება დარგის ექსპერტის აქცენტს, რომ ქალის და მამაკაცის ტანსაცმელს სხვადასხვა მიდგომა აქვს და შესაძლოა შესასრულებლად განსხვავებულია, მან დასძინა, რომ ვერ დაეთანხმებოდა იმას, თითქოს მამაკაცები ქალის ტანსაცმელს ცუდად ქმნიან ან პირიქით.

საბჭოს წევრმა ხათუნა ცერცვაძემ გააკეთე კომენტარი, რომ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, უნდა მიეცეს ორგანიზაციას რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის ერთთვიანი ვადა, მან დასძინა, რომ დასაქმების სააგენტო აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს, კარგად იცნობს, როგორც აჭარის რეგიონში ერთ-ერთ წარმატებულს.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა შპს ბრაით ლაინის დირექტორს პოზიციის დასაფიქსირებლად. ორგანიზაციის დირექტორი მიესალმა საბჭოს წევრებს და ცენტრის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კერვა არ არის მისი ძირითადი პროფესია, არის მარკეტოლოგი, მკლევარი და ატარებს სისტემატიურად კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით. ამ ეტაპზე დასრულებულია პროფესიების საჭიროების შესახებ კვლევა, მით უმეტეს რომ წლებია ბიზნესშია ჩართული. 2011 წლიდან მცირე ბიზნესით, პატარა სამკერვალოს გახსნით დაიწყო, ამიტომ ზოგიერთ საკითხებში არ დაეთანხმა დარგის ექსპერტს. მან დასძინა, რომ ინდივიდუალური მეწარმისთვის, ან ვისაც საქმის დაწყება უნდა, აუცილებელია რომ იცოდეს კონსტრუირება. იმ რეკომენდაციებს, რომელიც ეხება თემატიკას, მოიაზრება ამ პროგრამაში, თუმცა თემატიკაში არ არის ჩაშლილი, არ წარმოადგენს პრობლემას, თემატიკის ჩაშლა და მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს რეკომენდაციებისთვის.
საბჭოს წევრი ნათია კვიციანი დაინტერესდა, თუ რამდენად მოხერხდება და მოსწრებადია ერთ თვეში რეკომენდაციების გათვალისწინება და პროგრამაში ცვლილებების შეტანა, რაზეც ორგანიზაციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვს და მისი აზრით შესაძლებელია ამ რეკომენდაციების გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრაით ლაინისთვის „ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, 1. შპს ბრაით ლაინს (ს/კ: 406290954) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა /02314/ - ხარვეზის გამოსასწორებლად **(დანართი 8).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 13:48 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს წევრი
ნოზაძე მარიამი

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02316	ელექტრორკალური შედუღება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №31

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02318	მონოლითური სამუშაოების შესრულება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	60	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №31

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02319	საკალოტოზო და საბათქაშე სამუშაოების შესრულება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	60	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №31

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02321	სხვადასხვა სახის ზედაპირების ფილებით მოპირკეთება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №31

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02321	შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №31

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02317	ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება	პროფესიული მომზადება	მეორე	18	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №31

დანართი 7

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01669	თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	10	ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №39